საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის
საბჭოს თავმჯდომარეს
ქ-ნ ნათია კუპრაშვილს

განმცხ.: თამარ კინწურაშვილის,
ეკა ჭითანავას

## განცხადება
(საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

მიგვაჩნია, რომ გაზეთ "რეზონანსის" რედაქციამ 2014 წლის 12 მარტს გართობის რუბრიკაში გამოქვეყნებული სტატიით, "ჰოლივუდის ვარსკვლავები, რომელთაც ჰომოსექსუალები სძულთ", დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 და პირველი მუხლები.

მოგმართავთ, რათა ქარტიის შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით შეისწავოთ აღნიშნული დარღვევის ფაქტი, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ვთვლით, რომ აღნიშნული სტატიის სათაური ლგბტ პირების მიმართ სიძულვილის გაღვივებას და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით მათ დისკრიმინაციას უწყობს ხელს და წარმოადგენს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პუნქტის დარღვევას, რომლის თანახმად, "ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით".

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ სტატიის სათაური და შინაარსი შეუსაბამოა ერთმანეთთან, რადგან მასალა ჰოლივუდის იმ ვარსკვლავების (ბრედ პიტი, ანჯელინა ჯოლი) მოსაზრებებსაც შეიცავს, რომლებიც ლგბტ პირებისთვის დამატებითი საკანონმდებლო გარანტიების მოთხოვნით გამოდიან, ხოლო სტატიაში მოყვანილი სხვა ჰოლივუდის ვარსკვლავების დამოკიდებულება ლგბტ ჯგუფებისადმი არაერთგვაროვანია და არ შეიძლება შეფასდეს მათდამი სიძულვილის გამოვლინებად.

ვთვლით, რომ მედია საშუალებამ ასევე დაარღვია ქარტიის პირველი მუხლი, რადგან ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. აღნიშნულ შემთხვევაში კი დარღვეულია  სიზუსტის პრინციპი,  რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია, როცა საკითხი მგრძნობიარე ჯგუფების შესახებ მომზადებულ მასალას შეეხება.

იხ. დანართი (1 გვერდი).

თამარ კინწურაშვილი



მედიის განვითარების ფონდის
გამგეობის თავმჯდომარე

ეკა ჭითანავა



ტოლერანტობისა და
მრავალფეროვნების
ინსტიტუტის დირექტორი

5 აპრილი, 2014